<u>სერტიფიცირების ფორმა</u>

წინამდებარე სერტიფიცირების ფორმა გამიზნულია ბანკის აქციების იმ მფლობელთათვის, ვისაც სურს თანხმობის განცხადება სატენდერო შეთავაზებაზე

ბენქ ოფ ჯორჯია ჰოლდინგზ პლს (Bank of Georgia Holdings Plc)

(ინგლისსა და უელსში დაფუძნებული და რეგისტრირებული კომპანია, რეგისტრაციის ნომრით 7811410)

შემთავაზებლის მიერ განხორციელებული რეკომენდირებული სატენდერო შეთავაზება („სატენდერო შეთავაზება“) სს „საქართველოს ბანკის“ (შემდგომში – „ბანკი“ ან „საქართველოს ბანკი“) ჩვეულებრივი აქციების შემენაზე, მიუხედავად იმისა, ამგვარ აქციებს შესაბამისი პირები ფლობენ პირდაპირ („ბანკის აქციები“), თუ საერთაშორისო დეპოზიტარული ხელწერილის („სდხ“) მეშვეობით, თითო ბანკის აქციის სანაცვლოდ თითო შემთავაზებლის აქციის გაცემის გზით, რის შედეგადაც შემთავაზებელი გახდება საქართველოს ბანკის ჯგუფის კომპანიების ჰოლდინგური კომპანია; და 36,512,553–მდე შემთავაზებლის აქციის გაერთიანებული სამეფოს ფინანსური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ლისტინგის პრემიუმ ლისტინგის სეგმენტში (premium listing segment of the Official List of the UK Financial Services Authority) და ლონდონის საფონდო ბირჟაზე (London Stock Exchange) სავაჭროდ დაშვება.

ბანკის აქციები – ISIN: GE1100000276

წინამდებარე დოკუმენტი განიხილება სატენდერო დოკუმენტებთან ერთობლიობაში. თუკი სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული, წინამდებარე დოკუმენტში მოცემულ განმარტებებს გააჩნიათ იგივე მნიშვნელობები, რაც სატენდერო დოკუმენტებშია მითითებული. ბანკის იმ აქციონერებმა, რომელთაც სურთ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის განცხადება, უნდა შეავსონ ქვემოთ მითითებული ინფორმაცია და ხელი მოაწერონ სერტიფიცირების ფორმას. ის აქციონერები, რომლებიც ვერ დაადასტურებენ სერტიფიცირების ფორმაში მითითებული ინფორმაციას, ვერ მიიღებენ მონაწილეობას სატენდერო შეთავაზებაში.

სერტიფიცირების ფორმების მიწოდება შეთავაზების აგენტისათვის უნდა მოხდეს სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლამდე პირადად, ფოსტის, კურიერის ან ფაქსის მეშვეობით ქვემოთ მითითებულ რეკვიზიტებზე:

პირადად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მიწოდებისას:
სს „ბიჯი კაპიტალი“
საქართველო, თბილისი 0179,
ჭავჭავაძის გამზ. №7
ფაქსით მიწოდებისას: +995 322 23 58 04
ფაქსით მიწოდების ფაქტის დადასტურება ტელეფონის ნომერზე: +995 322 44 46 85

იმ შემთხვევაში, თუ ბროკერი (საბროკერო კომპანია), ნომინალური მფლობელი ან სხვა შუამავალი სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებს ბანკის აქციების რამდენიმე რეგისტრირებულ მესაკუთრესთან მიმართებაში, სერტიფიცირების ფორმა უნდა შეივსოს და მიეწოდოს შეთავაზების აგენტს თითოეულ ამგვარ რეგისტრირებულ მესაკუთრესთან დაკავშირებით.

ბანკის აქციების რაოდენობა, რომლებთან მიმართებაშიც განცხადებულია თანხმობა სატენდერო შეთავაზების მიღებაზე: _____

რეგისტრირებული მესაკუთრე: _____

რეგისტრირებული მფლობელი (თუ განსხვავდება რეგისტრირებული მესაკუთრისაგან): _____

ტელეფონი: _____

ფაქსი: _____

ელ. ფოსტა: _____

გარდა წინამდებარე სერტიფიცირების ფორმის შევსებისა და შეთავაზების აგენტისათვის გაგზავნისა, ბანკის აქციონერებმა სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლამდე უნდა განახორციელონ შემდეგი ქმედებები: (1) (1.ა) შეავსონ, ხელი მოაწერონ და შეთავაზების აგენტს გაუგზავნონ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის ფორმა; ან (1.ბ) ზეპირად დაუდასტურონ შეთავაზების აგენტის უფლებამოსილ წარმომადგენელს სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობა, იმ პირობით, რომ სატენდერო აგენტი წერილობით დაუდასტურებს შესაბამის აქციონერს ამგვარი თანხმობის მიღებას; და (2) უზრუნველყონ შეთავაზების აგენტთან არსებულ შემთავაზებლის ანგარიშზე ბანკის აქციების გადაცემა სატენდერო შეთავაზების განცხადებაში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის განცხადებით, წინამდებარე სერტიფიცირების ფორმის შევსებითა და მიწოდებით, თქვენ ადასტურებთ, აღიარებთ, აცხადებთ და ეთანხმებით შემდეგ დებულებებს:

<u>უფლებამოსილება და ვალდებულების აღება:</u>

1. თქვენ ნამდვილად ხართ (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ იგი არის) ზემოთ მითითებული ბანკის აქციების მფლობელი.

2. თქვენ ეთანხმებით (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ იგი ეთანხმება) სატენდერო დოკუმენტების პირობებს;

<u>აშშ–ს, აშშ–ს გარდა სხვა ქვეყნის და აკრძალული იურისდიქციების ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვები:</u>

3. თქვენ ხართ (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ იგი არის):

   ☐ აშშ მფლობელი

   <u>ან</u>

   ☐ არა–აშშ მფლობელი

   გთხოვთ მიუთითოთ ერთ–ერთი.

4. თუ თქვენ ხართ (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ იგი არის) <u>აშშ მფლობელი</u>, თქვენ ასევე ადასტურებთ, რომ:

   (ა) თქვენ ხართ (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ იგი არის) კვალიფიციური ინსტიტუციონალური შემძენი (როგორც ეს ტერმინი განმარტებულია აშშ ფასიანი ქაღალდების 1933 წლის კანონის („აშშ ფასიანი ქაღალდების კანონი“) წესი 144A–თი) ან ინსტიტუციონალური აკრედიტირებული ინვესტორი (როგორც ეს ტერმინი განმარტებულია აშშ ფასიანი ქაღალდების კანონის წესი 501(ა)(1), (2), (3) ან (7) პუნქტებით), და თუ თქვენ (ან ამგვარი სხვა პირი) იძენთ შემთავაზებლის აქციებს როგორც შუამავალი ან აგენტი ერთი ან მეტი მესამე პირისათვის, თქვენ ადასტურებთ (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ იგი ადასტურებს), რომ ასეთი მესამე პირი არის კვალიფიციური ინსტიტუციონალური შემძენი ან ინსტიტუციონალური აკრედიტირებული ინვესტორი;

   (ბ) თქვენ გესმით (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ მას ესმის) და შემთავაზებლის აქციების თითოეულ შესაძლო რეგისტრირებულ მესაკუთრეს ეცნობა, რომ შემთავაზებლის აქციები არ დარეგისტრირებულა და არ დარეგისტრირდება აშშ–ს ფასიანი ქაღალდების კანონის შესაბამისად, და თქვენთვის, ან იმ პირისათვის, რომლის სახელითაც აცხადებთ თანხმობას, ან შესაძლო სხვა რეგისტრირებული მესაკუთრისათვის ფასიანი

ქაღალდების გადმოცემა მოხდება იმ ტიპის გარიგებით, რომელიც გათავისუფლებულია აშშ ფასიანი ქაღალდების კანონის შესაბამისად რეგისტრაციის ვალდებულებისაგან;

(გ) შემთავაზებლის აქციებს თქვენს შეიძენთ თქვენს პირად ანგარიშზე, ან იმ კვალიფიციური ინსტიტუციონალური შემძენის ან ინსტიტუციონალური აკრედიტირებული ინვესტორის ანგარიშზე, რომელსაც თქვენთვის მოცემული აქვს სრული დისკრეცია ინვესტიციის განხორციელებაზე (და ამასთან, თქვენ გაგაჩნიათ სრული უფლებამოსილება განაცხადოთ თანხმობები, გააკეთოთ დადასტურებები და განაცხადები ამგვარი ანგარიშის მფლობელთა სახელით) მხოლოდ და მხოლოდ ინვესტირების მიზნით, და არა შემთავაზებლის აქციების გავრცელების (როგორც ეს განმარტებულია აშშ ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით) მიზნით; ხოლო, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს დადასტურებული აქვს თქვენთვის, რომ იგი იძენს შემთავაზებლის აქციებს მის პირად ანგარიშზე, ან იმ კვალიფიციური ინსტიტუციონალური შემძენის ან ინსტიტუციონალური აკრედიტირებული ინვესტორის ანგარიშზე, რომელსაც ამგვარი პირისათვის მიცემული აქვს სრული დისკრეცია ინვესტიციის განხორციელებაზე (და ამ პირს გააჩნია სრული უფლებამოსილება განაცხადოს თანხმობები, გააკეთოს დადასტურებები და განაცხადები ამგვარი ანგარიშის მფლობელთა სახელით) მხოლოდ და მხოლოდ ინვესტირების მიზნით, და არა შემთავაზებლის აქციების გავრცელების (როგორც ეს განმარტებულია აშშ ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით) მიზნით;

(დ) თქვენ გესმით (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ მას ესმის), რომ შემთავაზებლის აქციები იქნება „შეზღუდული ფასიანი ქაღალდები“ (“restricted securities“), აშშ ფასიანი ქაღალდების კანონის 144(ა)(3) წესით გათვალისწინებული მნიშვნელობით;

(ე) თქვენ გესმით და აღიარებთ (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ მას ესმის და აღიარებს), რომ მიუხედავად იმისა, რომ სატენდერო შეთავაზების ფარგლებში შემთავაზებლის აქციების შეთავაზება და გასხვისება ხდება კვალიფიციური ინსტიტუციონალური შემძენების ან ინსტიტუციონალური აკრედიტირებული ინვესტორებისათვის, ამგვარი შეთავაზება და გასვისება განხორციელდება აშშ ფასიანი ქაღალდების კანონის 4(2) თავის შესაბამისად, და არა 144(ა) წესის შესაბამისად;

(ვ) თქვენ წარმოადგენთ ინსტიტუტს, და თქვენ და თითოეულ კვალიფიციურ ინსტიტუციონალურ შემძენს ან ინსტიტუციონალურ აკრედიტირებულ ინვესტორს (ამგვარი არსებობის შემთხვევაში), ვისი სახელითაც თქვენ შეიძენს შემთავაზებლის აქციებს ბანკის აქციების სანაცვლოდ, (i) გაგაჩნიათ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება ფინანსურ და ბიზნეს საკითხებში, რაც საშუალებას გაძლევთ შეაფასოთ შემთავაზებლის აქციების შეძენასთან დაკავშირებული რისკები და მიზანშეწონილობა; და (ii) გაგაჩნიათ ფინანსური შესაძლებლობა გასწიოთ შემთავაზებლის აქციების შეძენასთან დაკავშირებული ეკონომიკური რისკები და ადეკვატური სახსრები ამჟამინდელი საჭიროებისათვის და გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის; ან თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე აცხადებთ თანხმობას სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ იგი წარმოადგენს ინსტიტუტს, და მას და თითოეულ კვალიფიციურ ინსტიტუციონალურ შემძენს ან ინსტიტუციონალურ აკრედიტირებულ ინვსტორს (ამგვარი არსებობის შემთხვევაში), ვისი სახელითაც იგი შეიძენს შემთავაზებლის აქციებს ბანკის აქციების სანაცვლოდ, (i) გააჩნიათ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება ფინანსურ და ბიზნეს საკითხებში, რაც საშუალებას აძლევს შეაფასოს შემთავაზებლის აქციების შეძენასთან დაკავშირებული რისკები და მიზანშეწონილობა; და (ii) გააჩნიათ ფინანსური შესაძლებლობა გასწიოს შემთავაზებლის აქციების შეძენასთან დაკავშირებული ეკონომიკური რისკები და ადეკვატური სახსრები ამჟამინდელი საჭიროებისათვის და გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის; და

(ზ) თქვენ ხელი მიგიწვდებოდათ (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარი პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ მას ხელი მიუწვდებოდა), შემთავაზებელთან დაკავშირებულ იმ ფინანსურ და სხვა ინფორმაციაზე, რაც თქვენ (ან სხვა პირმა) მოითხოვეთ ბანკის აქციების სანაცვლოდ შემთავაზებლის აქციების მიღებისას გადაწყვეტილების მისაღებად, და თქვენს მიერ (ამგვარი სხვა პირის მიერ) გააზრებულ იქნა შესაბამისი საგადასახადო, სამართლებრივი და სხვა ეკონომიკური საკითხები შემთავაზებლის აქციების შეძენასთან დაკავშირებით.

5. თუ თქვენ ხართ (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ იგი არის) არა–აშშ მფლობელი, თქვენ ასევე ადასტურებთ, რომ:

   (ა) თქვენ არ მიგიღიათ ან გაგიგზავნიათ (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ მას არ მიუღია ან გაუგზავნია) სატენდერო დოკუმენტების ასლები ან ორიგინალები, ან მათთან დაკავშირებული დოკუმენტები აშშ–ში, ან აშშ–დან;

   (ბ) სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებით, თქვენ არ გამოგიყენებიათ (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ მას არ გამოუყენებია) აშშ–ს ფოსტა, ან შტატთაშორისი ან საერთაშორისო კომერციის სხვა საკომუნიკაციო საშუალებები (მათ შორის, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, ტელექსი, ტელეფონი, ინტერნეტი ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებები) ან აშშ–ს საფონდო ბირჟის საკომუნიკაციო ან სხვა საშუალებები;

   (გ) თქვენ არ მოქმედებთ (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ იგი არ მოქმედებს) პრინციპალის სახელით არადისკრეციულ საფუძველზე (როგორც აგენტი, ნომინალური მფლობელი, კასტოდიანი, ტრასტი ან სხვ.), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პრინციპალის მიერ შესაბამისი ინსტრუქცია სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებით გაცემულია აშშ–ს ფარგლებს გარედან;

   (დ) თქვენ აცხადებთ თანხმობას (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ იგი აცხადებს თანხმობას) სატენდერო შეთავაზების მიღებაზე აშშ–ს ფარგლებს გარედან და სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის გაცემის მომენტში თქვენ იმყოფებოდით (ან, ამგვარი სხვა პირი იმყოფებოდა) აშშ–ს ფარგლებს გარეთ.

   (ე) თქვენს მიერ (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ მის მიერ) სატენდერო შეთავაზების მიღება არ ხდება შემთავაზებლის აქციების შემდგომი პირდაპირი ან არაპირდაპირი შეთავაზების, გასხვისების, ან მიწოდების მიზნით აშშ–ში, და თქვენს (ან ამგვარი სხვა პირის მიერ) არ მოხდება შემთავაზებლის აქციების მიღება და ფლობა იმ პირთათვის, ვინც, თქვენს (ან ამგვარი სხვა პირის) ხელთ არსებული ინფორმაციით, აპირებს მათ შემდგომ შეთავაზებას, გასხვისებას, ან მიწოდებას აშშ–ში.

6. თქვენ ეთანხმებით და აცხადებთ თანხმობას (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ იგი ეთანხმება და აცხადებს თანხმობას), რომ (ა) შემთავაზებლის აქციები არ არის და არ იქნება რეგისტრირებული აშშ ფასიანი ქაღალდების კანონის შესაბამისად, ან აშშ–ს ნებისმიერი შტატისა, თუ ერთეულის ფასიანი ქაღალდების საკანონმდებლო აქტის შესაბამისად; (ბ) შემთავაზებლის აქციები არ იქნება შეთავაზებული, გაყიდული, დაგირავებული ან სხვაგვარად გასხვისებული, გარდა შემდეგი შემთხვევებისა: (i) აშშ–ს ფარგლებს გარეთ განხორციელებული გარიგებებისა აშშ ფასიანი ქაღალდების კანონის რეგულაცია–S–ის 903–ე და 904–ე წესების შესაბამისად; (ii) აშშ–ს ფასიანი ქაღალდების კანონით გათვალისწინებული რეგისტრაციის მოთხოვნებიდან გამონაკლისს დაქვემდებარებული ან სხვაგვარად გათავისუფლებული გარიგების შედეგად, და ამასთან, თითოეულ შემთხვევაში აშშ-ს ნებისმიერი შტატის ან სხვა შესაბამისი იურისდიქციის ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის შესაბამისად; (გ) შემთავაზებლის აქციების რეგისტრირებულ მესაკუთრეს არა აქვს უფლება დაადეპონიროს შესაბამისი შემთავაზებლის აქციები დეპოზიტარული ხელწერილების პროგრამაში, რომელიც დაარსებულია და იმართება დეპოზიტარული ბანკის მიერ, გარდა აშშ ფასიანი ქაღალდების კანონის წესი 144A–თი გათვალისწინებული შეზღუდული დეპოზიტარული ხელწერილების პროგრამისა და იმ აუცილებელი პირობით, რომ ასეთი აქციები უნდა ითვლებოდეს „შეზღუდულ ფასიან ქაღალდებად“ (“restricted securities“), აშშ ფასიანი ქაღალდების კანონის 144(ა)(3) წესით გათვალისწინებული მნიშვნელობით; და (დ) შემთავაზებლის აქციების გასხვისებისას არ შეიძლება გაკეთდეს დადასტურება აშშ ფასიანი ქაღალდების კანონის 144 წესით გათვალისწინებული გამონაკლისების არსებობის თაობაზე.

7. თქვენ ეთანხმებით და აცხადებთ თანხმობას (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ იგი ეთანხმება და აცხადებს თანხმობას), რომ შემთავაზებლის აქციების მფლობელებმა მათ შემდგომ შემძენებს უნდა გააცნონ

შემთავაზებლის აქციების გასხვისებასთან ან გადაცემასთან დაკავშირებული ის შეზღუდვები, რაც მოცემულია წინამდებარე სერტიფიცირების ფორმის მე–6 მუხლში.

8. თქვენ არ მიგიღიათ ან გაგიგზავნიათ (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ მას არ მიუღია ან გაუგზავნია) სატენდერო შეთავაზების განცხადების ან მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების ასლები ან ორიგინალები ავსტრალიაში, კანადაში, იაპონიაში, რუსეთში, უკრაინაში ან სხვა იმ იურისდიქციაში (შემდგომში – „აკრძალული იურისდიქცია“), სადაც სატენდერო შეთავაზების პირდაპირი ან არაპირდაპირი გავრცელება ან საიდანაც შესაბამისი საბუთების მიღება, ფოსტით ან შტატთაშორისი ან საერთაშორისო კომერციის სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით (მათ შორის, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებები ან ტელეფონი), ან ეროვნული, სახელმწიფო ან სხვა საფონდო ბირჟის საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით, ჩაითვლება ამ ქვეყნის კანონმდებლობის დარღვევად.

9. სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებით, თქვენ სხვაგვარად არ გისარგებლიათ (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ მას არ უსარგებლია), პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფოსტით ან შტატთაშორისი ან საერთაშორისო კომერციის სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით (მათ შორის, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, ტელექსი, ტელეფონი, ინტერნეტი ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებები), ან აკრძალული იურისდიქციის ეროვნული საფონდო ბირჟის საკომუნიკაციო საშუალებებით.

10. თქვენ არ მოქმედებთ (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ იგი არ მოქმედებს) პრინციპალის სახელით არადისკრეციულ საფუძველზე (როგორც აგენტი, ნომინალური მფლობელი, კასტოდიანი, ტრასტი ან სხვ.), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პრინციპალის მიერ შესაბამისი ინსტრუქცია სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებით გაცემულია აკრძალული იურისდიქციის ფარგლებს გარედან.

11. თუ თქვენ ხართ (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით და ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ იგი არის) გაერთიანებული სამეფოს ან საქართველოს გარდა სხვა ქვეყნის მოქალაქე ან რეზიდენტი, თქვენს მიერ დაცულია (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარპირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ მის მიერ დაცულია) სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებით ასეთი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მოპოვებულია ყველა აუცილებელი სამთავრობო, საფონდო ბირჟისა, თუ სხვა თანხმობები, დაცულია ყველა სახის პროცედურა და ფორმალობა და გადახდილია შესაბამის იურისდიქციაში დაწესებული ყველა სახის გადასახადი, მოსაკრებელი და სხვა გადასახდელი, რაც დაკავშირებულია აქციების გაცემასთან ან გადაცემასთან, და თქვენს მიერ არ განხორციელებულა (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ მის მიერ არ განხორციელებულა) რაიმე სახის ქმედება, რამაც შესაძლოა ნებისმიერ ამგვარ იურისდიქციაში გამოიწვიოს შემთავაზებლის, საქართველოს ბანკის, შეთავაზების აგენტის, სდხ–ების შეთავაზების აგენტის (ბენქ ოფ ნიუ იორკ მელონ–ის (Bank of New York Mellon)), შემთავაზებლის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის, სდხ–ების პროგრამის დეპოზიტარის, აი–ენ–ჯი–ს (ING) (რომელიც მოქმედებს, როგორც სპონსორი შემთავაზებლის აქციების ლისტინგში დაშვებასთან დაკავშირებით), ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ ამ იურისდიქციის კანნონმდებლობის დარღვევა სატენდერო შეთავაზებასთან ან თქვენს (იმ პირის, რომლის სახელითაც აცხადებთ თანხმობას) მიერ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის განცხადებასთან დაკავშირებით.

12. თქვენ აცხადებთ თანხმობას (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ იგი აცხადებს თანხმობას) სატენდერო შეთავაზების მიღებაზე აკრძალული იურისდიქციის ფარგლებს გარედან და სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის გაცემის მომენტში თქვენ იმყოფებოდით (ან, ამგვარი სხვა პირი იმყოფებოდა) აკრძალული იურისდიქციის ფარგლებს გარეთ.

13. თქვენს მიერ (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ მის მიერ) სატენდერო შეთავაზების მიღება არ ხდება შემთავაზებლის აქციების შემდგომი პირდაპირი ან არაპირდაპირი შეთავაზების, გასხვისების, ან მიწოდების მიზნით აკრძალულ იურისდიქციაში, და თქვენს (ან ამგვარი სხვა პირის მიერ) არ მოხდება შემთავაზებლის აქციების მიღება და

ფლობა იმ პირთათვის, ვინც, თქვენს (ან ამგვარი სხვა პირის) ხელთ არსებული ინფორმაციით, აპირებს მათ შემდგომ შეთავაზებას, გასხვისებას, ან მიწოდებას აკრძალულ იურისდიქციაში.

14. თუ თქვენ ხართ (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით დ ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ იგი არის) კორპორაცია ან იურიდიული პირი, თქვენ ადასტურებთ (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ იგი ადასტურებს) დაფუძნებული შესაბამისი იურისდიქციის კანონმდებლობის შესაბამისად, და სატენდერო შეთავაზებაზე ზეპირი თანხმობის განცხადება, ან სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის ფორმის შევსება და მიწოდება, და ასევე, წინამდებარე სერტიფიცირების ფორმის შევსება და მიწოდება, ან/და ზემოაღნიშნულთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება არ არღვევს და არ დაარღვევს თქვენი (ან ამგვარი სხვა პირის) სადამფუძნებლო დოკუმენტების ნებისმიერ დებულებას, არ მოდის წინააღმდეგობაში იმ შეთანხმებებთან, რომლის მხარეც ხართ თქვენ (ან ამგვარი სხვა პირი), არ არღვევს ნებისმიერ კანონს (საკანონმდებლო აქტს) ან არასაკანონმდებლო რეგულაციას, გადაწყვეტილებას, ბრძანებას, დადგენილებას ან სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გამოცემულ სხვა აქტს, ან ნებისმიერი შესაბამისი იურისდიქციის სასამართლოს, საარბიტრაჟო სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებას, ბრძანებას, განჩინებას.

<u>მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა</u>

15. თქვენ აცხადებთ თანხმობას (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ იგი აცხადებს თანხმობას), რომ წინამდებარე სერტიფიცირების ფორმა და სერტიფიცირების ფორმიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა განიმარტება და გადაწყდება ინგლისის კანონმდებლობის შესაბამისად, გარდა ბანკის აქციებთან დაკავშირებული სატენდერო შეთავაზების კანონისმიერი (სავალდებულო) დებულებებისა, რომელიც რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16. თქვენს მიერ წინამდებარე სერტიფიცირების ფორმის შევსებითა და ხელმოწერით თქვენ აცხადებთ თანხმობას (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ იგი აცხადებს თანხმობას) სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებული დავების განხილვისას ინგლისისა და უელსის შესაბამისი სასამართლოების კომპეტენციაზე, გარდა იმ საკითხებთან დაკავშირებული დავებისა, რომლებთან მიმართებაშიც საქართველოს სასამართლოებს აქვთ განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია.

<u>სერტიფიცირებაზე დაყრდნობა</u>

17. თქვენ ეთანხმებით და ადასტურებთ (ან, თუ თქვენ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობას აცხადებთ სხვა პირის სახელით, ამგვარ პირს თქვენთვის დადასტურებული აქვს, რომ იგი ეთანხმება და ადასტურებს), რომ შემთავაზებელი, საქართველოს ბანკი, შეთავაზების აგენტი, სდხ–ების შეთავაზების აგენტი, შემთავაზებლის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, სდხ–ების პროგრამის დეპოზიტარი, აი–ენ–ჯი და მათი აფილირებული პირები, თანამშრომლები, დირექტორები, ხელმძღვანელი პირები და იურიდიული მრჩევლები უფლებამოსილნი არიან დაეყრდნონ წინამდებარე სერტიფიცირების ფორმაში მითითებულ ინსტრუქციებს, დადასტურებებს, განცხადებებს და თანხმობებს და ამგვარი ინსტრუქციები, დადასტურებები, განცხადებები და თანხმობები ჩაითვლება გაცემულად თქვენს მიერ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის განცხადების თარიღისათვის და ძალაში იქნება თქვენთვის შემთავაზებლის აქციების გაცემის თარიღის ჩათვლით.

ხელმოწერილია

_____

[ხელმომწერი პირი]

სახელი: _____

თანამდებობა: _____

შენიშვნა:

ამ დოკუმენტში მითითებულ ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი განმარტებები:

აშშ მფლობელი

(ა) ბანკის აქციების ან/და გდხ–ების მფლობელი, რომელიც (i) იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ან (ii) წარმოადგენს ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფი პირის აგენტს, ნომინალურ მფლობელს, კასტოდიანს, ტრასტს ან სხვაგვარად მოქმედებს ასეთი პირის სახელით;

(ბ) ბანკის აქციების ან/და გდხ–ების მფლობელი, რომელიც სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის ფორმაში ან/და სერტიფიცირების ფორმაში მიუთითებს მისამართს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ან რომლის რეგისტრირებული მისამართი არის ამერიკის შეერთებულ შტატებში;

(გ) ბანკის აქციების ან/და გდხ–ების მფლობელი, რომელიც სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის ფორმაში ან/და სერტიფიცირების ფორმაში მიუთითებს იმ პირის (ან აგენტის) მისამართს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელსაც სურს გადაეცეს სატენდერო შეთავაზებით გათვალისწინებული ანაზღაურება, ან მიეწოდოს ნებისმიერი დოკუმენტი;

(დ) ბანკის აქციების ან/და გდხ–ების მფლობელი, რომლისგან მიღებული თანხმობაც მოთავსებულია საფოსტო კონვერტში, რომელიც ბეჭდით დამოწმებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ან შემთავაზებელი (ან მისი აგენტები) სხვა მიზეზით მიიჩნევენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოგზავნილად;

(ე) ბანკის აქციების ან/და გდხ–ების სხვა მფლობელი, რომელთან მიმართებაშიც შემთავაზებელი (ან მისი აგენტები) მიიჩნევენ, რომ იგი იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

არა–აშშ მფლობელი *ბანკის აქციების ან/და გდხ–ების მფლობელი, რომელიც არ არის აშშ მფლობელი.*